

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი



რექტორის 2021 წლის ანგარიში



სარჩევი

შესავალი -----	3
საგანმანათლებლო პროგრამები -----	4
ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა -----	5
პერსონალის პროფესიული განვითარება -----	6
კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები -----	9
ხარისხის უზრუნველყოფა -----	11
შემოქმედებითი მუშაობა -----	12
კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა -----	15
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა -----	17
დანართი 1 -----	18



შესავალი

1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. ხელოვნების ინსტიტუტში 3 ფაკულტეტი და 9 კათედრა არსებობდა. 1996 წელს ხელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნა საბალეტო სტუდია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. 1999 წელს საბალეტო სტუდია გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს საბალეტო სკოლა-სასწავლებლის სტატუსით. 1998 წელს ხელოვნების ინსტიტუტის მუსიკალურ დისციპლინათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №137 დადგენილებით, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხი დარგის მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. დარგობრივი მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებულია სამი ფაკულტეტი: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების; მუსიკის; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და მუსიკის ფაკულტეტები სწავლებას ახორციელებენ სახელოვნებო მიმართულების საშემსრულებლო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - შესაბამისი მიმართულების თეორიულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებელ (60 კრედიტთან) პროგრამაზე.

უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 420 სტუდენტი სწავლობს, სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია 38 აკადემიური პირი, 28 დამხმარე (კონცერტმასტერი, გუნდის სოლისტი) აკადემიური პერსონალი, 94 მოწვეული სპეციალისტი, 104 ადმინისტრაციული პირი.

ხელოვნების უნივერსიტეტი ემსახურება სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, ხელს უწყობს ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი პროცესების განვითარებას.

უნივერსიტეტი განთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ისტორიულ შენობაში, რომელშიც შექმნილია სახელოვნებო პროგრამების მოთხოვნებზე მორგებული მოდერნიზებული თანამედროვე სასწავლო გარემო.

უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში, ჩართულია რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქვეყნის სახელოვნებო პროფილის წამყვან უმაღლეს დაწესებულებებთან, თანამშრომლობს კულტურის მიმართულების უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო თუ შემოქმედებით ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტი წარმოადგენს კულტურისა და ხელოვნების მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დამფუძნებელს რეგიონში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებით, სამეცნიერო ღონისძიებებში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და კვალიფიციურობით.



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს № 42 (02.12.2019) გადაწყვეტილებით სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 245628496) 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 900 სტუდენტით.

2021 წლის სამუშაო პროცესი დაეფუძნა 2021 წლის სამოქმედო გეგმას, 2020-2022 წლების სამოქმედო და 2019-2025 წლების სტრატეგიულ გეგმას.

გეგმაში გათვალისწინებულია ყველა სამსახურის აქტივობები - საუნივერსიტეტო ღონისძიებები, აკრედიტაციაზე წარსადგენ პროგრამებზე მუშაობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის შედეგები, პროგრამების შიდა მონიტორინგი, სასწავლო პროცესების დაგეგმვა-განხორციელება, სამეცნიერო-საგამომცემლო და შემოქმედებითი მუშაობა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აბიტურიენტებთან და დამსაქმებლებთან; პერსონალის პროფესიული განვითარება, რესურსების განახლება და საინფორმაციო საქმიანობა, სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეჯამება.

2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წელს, ახალი კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ვითარების გამო, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესს ჰიბრიდულ რეჟიმში აგრძელებს. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და მუსიკის ფაკულტეტების საშემსრულებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი სააუდიტორიო სივრცეში მიმდინარეობს, ხოლო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ასევე სხვა პროგრამების თეორიულ საგნებზე - დისტანციურად, ზუმის პლატფორმაზე. თუმცა პერიოდულად, კოვიდის დაფიქსირების შემთხვევებში, იზოლაციით დადგენილი ვადით, მეცადინეობები ტარდება დისტანციურად. თითოეული სემესტრის საგამოცდო სესიებზე შეჯამდა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შედეგები როგორც საჯარო ჩვენებისათვის გათვალისწინებული საშემსრულებლო, ისე თეორიული საგამოცდო ფორმატით.

2021 წლის სამუშაო პროცესი სტრატეგიული გეგმის მიზნების, ამოცანების გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად წარმართა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ნაწილობრივ განახლდა და დაკონკრეტდა პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები, თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ დასახული აქტივობები, შენიშვნები. პანდემიით გამოწვეულმა ხელისშემშლელმა ფაქტორებმა აქტივობების შესრულების ვადები შეცვალა. დაკონკრეტდა სამოქმედო ამოცანები, სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელების ფორმები და ვადები, შემუშავდა საუნივერსიტეტო დოკუმენტები და ნორმატიული აქტები. (დოკუმენტები განთავსებულია ბხსუ-ს ვებგვერდზე www.batu.edu.ge).

1. საგანმანათლებლო პროგრამები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 42. 02.12.2019 სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი). (დიზაინის ბაკალავრი);
2. არქიტექტურა (არქიტექტურის ბაკალავრი);
3. ფერწერა (სახვითი ხელოვნების ბაკალავრი);
4. სამსახიობო ხელოვნება (თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი);
5. აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი);
6. სამოსის დიზაინი (დიზაინის მაგისტრი);
7. საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) (თეატრალური ხელოვნების მაგისტრი);
8. აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი);
9. ხელოვნებათმცოდნეობა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი);
10. ტელე-რადიო ჟურნალისტიკა (მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი);
11. კულტურის მენეჯმენტი (მენეჯმენტის ბაკალავრი);



12. კულტურული ტურიზმი (ტურიზმის ბაკალავრი);
13. ხელოვნების მენეჯმენტი (ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი);
14. ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი;
15. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (კვალიფიკაცია არ ენიჭება);
16. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია არ ენიჭება);
17. სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი);
18. სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშებიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი).

2021 წელს ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მუსიკის მასწავლებლის 60 კრედიტიან და ქართული ენის მომზადების პროგრამებზე, რომლებიც 2022 წელს გაიგზავნა განათლების განვითარების ხარისხის ცენტრში სააკრედიტაციოდ.

ბაზრის კვლევის მოთხოვნების მიხედვით, უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე შემუშავებულია 60 კრედიტიანი და მოკლევადიანი პროგრამები და სასწავლო კურსები/ბლოკები.

პროგრამები:

- კულტურის მენეჯმენტი;
- თოჯინების თეატრის სამსახიობო;
- დრამის სამსახიობო;
- ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი;
- ხელოვნებათმცოდნეობა;
- ქორეოგრაფია-სადადგმო ხელოვნება;
- მუზეუმის მენეჯმენტი;
- მუზეუმის თანამედროვე ტექნოლოგიები;
- კულტურული ტურიზმის გიდი.
- უცხო ენის (ინგლისური) სწავლების პროგრამა.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ინტერიერის დიზაინი“.

სასწავლო კურსები/ბლოკები:

- საბიბლიოთეკო საქმე;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების საფუძვლები;
- მინანქარი;
- ბატიკა ;
- ხელოვნების მასწავლებელი;
- სამუზეუმო და საარქივო საქმე;
- საექსკურსიო საქმე;
- საორკესტრო საკრავები.

2. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ბხსუ-ს მართვის ორგანოების საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის წესდება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამართლებრივ-ნორმატიული აქტები.

ბხსუ-ს ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობას უზრუნველყოფენ სტრუქტურული ერთეულები - ფაკულტეტები და დარგობრივი დეპარტამენტები.

ბხსუ-ს მართვაში და სასწავლო პროცესების ადმინისტრირებაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები - ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული საქმისწარმოება.

ბხსუ-ს გააჩნია განახლებული კომპიუტერული ტექნიკის ბაზა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა, საქმის წარმოების



ელექტრონული სერვისი.

✓ ნორმატიული ბაზის სრულყოფა:

2021 წელს შემუშავდა ბხსუ-ს წესდების ცვლილების პროექტი, შემუშავდა და დამტკიცდა უვადო პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესები, რომელთა დამტკიცებაც ხდება ყოველწლიურად, შეტანილ იქნა ცვლილებები სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში, პროგრამული დაფინანსების გაცემის წესში, აკადემიური პერსონალის აფილირების წესში, სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულებაში, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №05-01/02 გადაწყვეტილებაში.

2021 წელს ბხსუ-ს სამართლებრივ აქტებში რიგი ცვლილებების მიღება განპირობებული იყო როგორც არსებული რეგულაციების გადახედვით და ახალი დოკუმენტების შემუშავების საჭიროებით, ისე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში განხორციელებულ ცვლილებებთან შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანით. მაგალითად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. განისაზღვრა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადაეცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო კულტურისა და სპორტის სფეროში – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლევად საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ცვლილება განხორციელდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში.

2018 წლის 28 მარტს დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის“ თანახმად, ბხსუ-ში არსებობდა მხოლოდ აფილირებული აკადემიური პერსონალი. წესის თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად, თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენდა აფილირებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მასთან შეწყდებოდა შრომითი ხელშეკრულება და იგი დატოვებდა აკადემიურ თანამდებობას. განხორციელებული ცვლილების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება მოახდენს აფილირებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, უნივერსიტეტის ინტერესების/ საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის გათვალისწინებით, ან დეკანის დასაბუთებული/მოტივირებული წარდგინების საფუძველზე, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, ნახევარ განაკვეთზე, შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით, სხვა შემთხვევაში მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე ბხსუ-ში შესაძლოა არსებობდეს არააფილირებული აკადემიური პერსონალიც.

3. პერსონალის პროფესიული განვითარება

ბხსუ თანამედროვე გამოწვევების, პერსონალის მართვის პოლიტიკის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების, ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვების, დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების, ადმინისტრაციული სამსახურების წინადადებების საფუძველზე ახდენს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, გამოავლენს პერსონალის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ადგენს კონკრეტულ გეგმას აკადემიური/მოწვეული პერსონალის პედაგოგიური უნარების, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.



2021 წელს, რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩატარდა სააუდიტორიო და დისტანციური შეხვედრები და ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების, სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების, იურიდიული, საფინანსო და საინფორმაციო მენეჯმენტის სამსახურის წარმომადგენელთა და სხვ. მიერ. 2020-2021 წწ-ში განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი შეიძინა ონლაინ ტრენინგებმა დისტანციური სწავლებისა და შეფასების ფორმებისა და მეთოდების, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საკითხების შესახებ.

✓ ტრენინგები

ა) ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, პლაგიატიზმის პრობლემის უკეთ გააზრების მიზნით, 2021 წლის ივნისში სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან პლაგიატიზმის თემაზე. ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით, შეხვედრებზე სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია პლაგიატის სახეების, კატეგორიების, მისი აღმოჩენის მექანიზმების, აღმოფხვრის გასატარებელი ღონისძიებების, სანქციების, აკადემიური ეთიკის არსის შესახებ.

ბ) სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების, ფაკულტეტების მიერ მომზადდა ტრენინგების გეგმა 2021 წლისათვის (იხ. ტრენინგების გეგმა; ცვლილებები ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმაში. ბსსუ ვებგვერდი).

გ) 2021 წლის იანვარი - ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ახალ სტანდარტებზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

დ) ტრენინგები ელექტრონული ჟურნალის ამოქმედებასთან დაკავშირებით;

ე) ტრენინგი ადმინისტრაციული პერსონალისათვის: დიპლომის დანართის შევსების წესში ცვლილებების შესახებ. (2021. 23. 03). ტრენინგს ესწრებოდნენ დეკანები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის მდივნები, სპეციალისტები და რექტორის წარმომადგენლები და დიპლომების განყოფილების სპეციალისტი. ტრენინგი ჩატარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ქეთევან ვაჩიიშვილმა.

ვ) 2 ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისათვის: „პროგრამის შედეგების რუკა“-ტრენინგი ჩატარეს ბსსუ-ს რექტორმა პროფესორმა მაია ჭიჭილეიშვილმა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ქეთევან ვაჩიიშვილმა.

✓ აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

✓ Erasmus+

საერთაშორისო პროექტი „უნივერსიტეტების როლი რეგიონალურ განვითარებაში“. პროექტის კოორდინატორია ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი. საქართველოს გარდა, პროექტში ჩართულია ავსტრიის, ჩეხეთის, ესპანეთის, ლიეტუვის უნივერსიტეტები. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად, საქართველოს თანამონაწილეობით დაფინანსდა 6 პროექტი, რომელშიც ჩართულია საქართველოს 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 3 სახელმწიფო ორგანიზაცია და 2 არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტის მიზანია, მხარი დაუჭიროს პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის, ხელმისაწვდომობის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. პროექტში ჩართული არიან საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტები და 4 ევროპელი პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვიდან. პროექტში ასევე ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2019-2025 წლების ბსსუ-ს სტრატეგიულ გეგმაში შეტანილ იქნა დამატება - მე-6 პუნქტი „უნივერსიტეტის როლი რეგიონის განვითარებაში“, რომელიც ასევე ითვალისწინებდა რეგიონის პრიორიტეტების დადგენის მიზნით შეხვედრების გამართვას.

2021 წლის იანვარ-თებერვალში Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის RURD ფარგლებში კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი სახელწოდებით “სტრატეგიული



გეგმა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგია”. 2021 წლის 5-7 მაისს კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტებისთვის მასარიკის უნივერსიტეტის (ბრნო, ჩეხეთი) წარმომადგენლებმა ჩაატარეს ონლაინ ტრენინგი.

2021 წლის 9 ივლისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროექტით გათვალისწინებული რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა შეხვედრა, რომელზეც 11 რეგიონული უნივერსიტეტის რექტორმა ხელი მოაწერა მემორანდუმს რეგიონული უნივერსიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენციის ჩამოყალიბების შესახებ. ხელმოწერი უნივერსიტეტებია: სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ -ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს - კაკასიის უნივერსიტეტი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

2021 წლის 27 სექტემბერს საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის ფარგლებში ონლაინ ფორმატის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა და წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაციები უნივერსიტეტში განხორციელებულ აქტივობებისა და რეფორმების შესახებ. პრეზენტაცია ეხებოდა რეგიონულ უნივერსიტეტებში დასაქმების, პროფესიული გადამზადებისა და მცირე ბიზნესის განვითარების რეგიონალური ოფისების დაარსებას; უნივერსიტეტის მიერ დანერგილი აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებულ სქემას; გორის უნივერსიტეტის მაგალითზე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში სამეცნიერო ჟურნალების ინდექსირებას.

2021 წლის 28 სექტემბერს ამავე პროექტის „RURD“ ფარგლებში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის დროს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაძლიერების, ასევე რეგიონის განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ. ტრენინგის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მექანიზმები და ფორმები, სამთავრობო სტრუქტურების ჩართულობის ხარისხის ამაღლების სტრატეგიები. ტრენინგის დროს განხორციელდა ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და ანალიზი.

2021 წლის 29-30 სექტემბერს RURD-ის “ ფარგლებში, პროექტის მენეჯერებმა გამართეს ტრენინგი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ტრენინგის დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეავსეს ბსსუ-ს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და ანალიზი.

18-20 ოქტომბერს შედგა პროექტის სამუშაო შეხვედრა ზუგდიდის შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტში. 2021 წლის 13-14 დეკემბერს RURD-ის ფარგლებში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები აჭარის არ სხვადასხვა დაწესებულებებთან. შეხვედრის დროს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრთან“ და ტურისტულ სააგენტოსთან „ევრო ტური“. მემორანდუმში მიზნად ისახავს უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე რეგიონის განვითარების ხელშეწყობასა და საგანმანათლებლო საკითხებში თანამშრომლობას.

- პანდემიის გამო, პროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობა გადატანილ იქნა 2022 წლისათვის.
- ✓ უნივერსიტეტმა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში მიიღო მოწვევა ესპანეთიდან „ეკო არტ-ფესტივალი - ხელოვნების და გარემოს დღეები“- ოპირინიოს მუნიციპალიტეტის და IES Ribeira do Louro-ს ორგანიზებით. ფესტივალი უნდა ჩატარებულიყო 2021 წლის 14-16 დეკემბერს. უნივერსიტეტმა შეარჩია მონაწილეები, მაგრამ პანდემიით შექმნილი რთული ვითარების გამო ფესტივალი გადაიდო 2022 წლისათვის. "ხელოვნების და გარემოს დღეები"-ს მიზანია საზოგადოებაში, მომავალი თაობებისათვის, გარემოს შენარჩუნების ცნობიერების ამაღლება, ხელოვნებასთან დაკავშირებული პროდუქციის და



აქტივობების წახალისება, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა, განათლების და კულტურის პოტენციალის ამაღლება ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასევე, საგანმანათლებლო და კულტურის დაწესებულებებში ხელოვნებისა და დიზაინის მნიშვნელობის უკეთ გაცნობა და მათი ჩართვა ადგილობრივ პროდუქციაში ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის გაზრდის მიზნით.

- ✓ გაფორმდა მემორანდუმი კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნულ უნივერსიტეტთან ;
- ✓ შედგა თანამშრომლობა წერილობითი კომუნიკაციის სახით გრაცის კონსერვატორიასთან Erasmus+ პროგრამაში ჩართვის მიზნით.

4. კარიერული მზარდაჭერის ღონისძიებები

2021 წელი, ისევე როგორც 2020, მიმდინარეობდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით. შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მზარდაჭერის განოფილების მუშაობა მოერგო არსებულ პანდემიურ სიტუაციას. მისი საქმიანობა, ძირითადად, შემოიფარგლებოდა უნივერსიტეტში სხვადასხვა მიმართულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულობით, დისტანციური შეხვედრების ორგანიზებით, სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რაც გულისხმობს საინტერესო პროექტებს, სასწავლო გრანტებს, სხვადასხვა ქვეყნის სასტიპენდიო პროგრამებს, ვაკანსიებს (მათ შორის, სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით).

- წლის განმავლობაში განყოფილებაში სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა კონსულტაციები გაიარეს CV და სამოტივაციო წერილის შედგენაში, სასტიპენდიო დაფინანსების დოკუმენტაციის სწორად წარდგენაში და რიგ სხვა საკითხებში.
 - სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებასთან ერთად, სემესტრების მიხედვით მოხდა აქტიურ და წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობრივი ანალიზი.
 - წლის განმავლობაში სხვადასხვა ციფრული პლატფორმების გამოყენებით სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სხვადასხვა შემოქმედებითი თუ სამეცნიერო პროექტების, მასტერკლასების, კონცერტების, გამოფენების, საქველმოქმედო და სხვა ღონისძიებებისა და ვაკანსიების შესახებ.
 - უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://www.batu.edu.ge>,
 - Facebook გვერდი <https://www.facebook.com/Batumiartuni/>,
 - განყოფილების Facebook გვერდი „ბხსუ-სტუდენტთა კარიერული მზარდაჭერა“ <https://www.facebook.com/groups/2247726018843189>,
 - სტუდენტური გვერდი „ბხსეული“ <https://www.facebook.com/groups/1186120261490394>
 - ელექტრონული ფოსტების საშუალებით.
 - მნიშვნელოვანი იყო განყოფილების ჩართულობა 2021 წლის 28 სექტემბრის შეხვედრაში ახალგაზრდებთან ონლაინ ფორუმის ფარგლებში - „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად!“ რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით. არსებულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა.
1. სასწავლო წლის დასაწყისში განყოფილების ინიციატივით ჩატარდა ონლაინ შეხვედრა პირველკურსელებთან, სადაც უნივერსიტეტის საქმიანობის, სასწავლო პროცესის, განყოფილების საქმიანობისა და სხვადასხვა საკითხების შესახებ პირველკურსელებს ინფორმაცია მიაწოდეს რექტორმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა. კარიერული მზარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების, სტიპენდიების, შემოქმედებითი პროექტების, კარიერული განვითარებისა და სხვა საკითხების შესახებ.
 2. 17/IX/2021- ქალაქ ბათუმის მერიის პროექტის "შენი იდეა ბათუმს" - პრეზენტაციას ესწრებოდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, მათ მიიღეს ინფორმაცია პროექტის მიზნების, ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობისა და რეგისტრაციის ფორმების შესახებ.



- წლის ბოლოს (24.12.2021) განყოფილების აქტიური ჩართულობით სიგელებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ პროექტებში აქტიურად ჩართული სტუდენტები.
- განყოფილებამ 2021 წლის ბოლოს შეიმუშავა სტუდენტთა პორტფოლიოს ფორმა, რომლის პრეზენტაცია იგეგმება 2022 წლის მარტში. სტუდენტებთან ამ ფორმით ურთიერთობა განაპირობა არსებულმა პანდემიურმა მდგომარეობამ. მათთან პირადი შეხვედრების და კომუნიკაციის ნაკლებობის გამო, ურთიერთობის ასეთი ფორმატი საშუალებას მისცემს განყოფილებას მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია, ყოველი სემესტრის ბოლოს გააკეთოს სტატისტიკური ანალიზი სტუდენტთა საუნივერსიტეტო და სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის საერთაშორისო, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის შესახებ. პორტფოლიოს წარმოება დაეხმარება სტუდენტებს საკუთარი საქმიანობის სწორად ორგანიზებაში, მათი პროფესიული და პროფესიული უნარების განვითარებისა და კარიერული ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლის ანალიზში.
- სამუშაო პროცესშია 2021 წლის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, როგორც პროფესიული, ასევე სხვა მიმართულებით, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება.
- განყოფილების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით სხვადასხვა სამსახურთან ინფორმაციის გაორების თავიდან აცილების მიზნით მოხდა რამდენიმე პუნქტის ოპტიმიზაცია და ზოგიერთი პუნქტის სახეცვლილებით შესრულება:
 - 1.2 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, განყოფილების საქმიანობის პუნქტი დაემატება საუნივერსიტეტო კმაყოფილების კვლევას და მისი ჩატარების შემდეგ, განყოფილება გაეცნობა სტატისტიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებელს).
 - 2.1 დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, განყოფილება ჩაერთვება საუნივერსიტეტო კვლევაში)
 - 2.3 დამსაქმებლებთან სასწავლო პროგრამების განხილვა და მათი რეკომენდაციების მიწოდება პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად (ჩატარდება პროგრამების აკრედიტაციის პროცესთან ერთად);
- არსებული პანდემიური ვითარების გამო არ მოხერხდა შემდეგი პუნქტების განხორციელება (ორგანიზაციებმა თავი შეიკავეს ჯგუფური შეხვედრების მოწყობაზე):
 - 2.4 პარტნიორი ორგანიზაციების სამუშაო გარემოს გაცნობა;
 - 2.7 დამსაქმებლების მოწვევა უნივერსიტეტში და თემატური შეხვედრების უზრუნველყოფა;
- რამდენიმე პროექტის განხორციელება გადავიდა 2022 სასწავლო წლისათვის, მათ შორის იყო ისეთი ტრენინგები და ვორქშოპები, რომლებიც მოითხოვდა პროცესში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. აქედან გამომდინარე, ტრენინგებმა თავი შეიკავეს დისტანციურად პროექტის განხორციელებაზე და მათი თხოვნით ისინი გადავადდა მომდევნო სასწავლო წლისათვის:
 - 4.4 ტრენინგი პროექტების მართვაში (გადავიდა 2022 წლის გაზაფხულზე);
 - 4.5 ტრენინგი კარიერული განვითარების საკითხებში (გადატანილია 2022 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით);
 - 6.2 სტუდენტთა დასაქმების მონიტორინგი (დასრულდება 2022 წლის თებერვალში) ;
 - 6.3 კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი (დასრულდება 2022 წლის თებერვალში)

შეხვედრები კურსდამთავრებულებთან:

- წლის განმავლობაში მომზადდა ვიდეორგოლები სხვადასხვა მიმართულების წარმატებულ კურსდამთავრებულებთან და გათავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე და Facebook გვერდზე. (იხ. შემოქმედებითი მუშაობა) https://www.facebook.com/Batumiartuni/videos/?ref=page_internal
- 10. 06.2021 zoom-ის პლატფორმაზე შედგა არქიტექტურის პროგრამის სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების შეხვედა ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთან - ელინა წითელაძესთან. მან ისაუბრა ტოკიოს ხელოვნების უნივერსიტეტში ინტერიერის დიზაინის მიმართულებით მიღებული ცოდნის, გამოცდილების, სასწავლო პროგრამის სპეციფიკის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების შესახებ. შეხვედრაზე დაისვა შეკითხვები იაპონური კულტურის, არქიტექტურის, ხელოვნების, დიზაინის ტრადიციული და თანამედროვე მიდგომების შესახებ.
- ბხსუ-ს მუსიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა მარიამ ფირცხალაიშვილმა და ასლან დიასამიძემ (09.06.21) ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ავსტრიული კულტურის კვირეულის



ფარგლებში გამართულ საჯარო ლექცია-სემინარზე შეასრულეს შტრაუსისა და მალერის ნაწარმოებები (პროფესორ თამაზ ცერიაშვილის კლასი, კონცერტმასტერი - ნინო ნიშნიანიძე).

საჯარო ლექციები/ მასტერკლასები სტუდენტებისათვის:

- 08.04. 2021-online zoom - ის პლატფორმაზე გაიმართა ონლაინ შეხვედრა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის თემაზე „ერთად გავიხსენოთ 9 აპრილი“.
- 29.04.2021 - ონლაინ შეხვედრა მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის ნიკოლოზ რაჭველთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო თანამედროვე გამოწვევებს, კარიერული წინსვლის მექანიზმებსა და ფორმებს, მუსიკოსის პირად გამოცდილებას. კომპოზიტორმა ისაუბრა საკუთარ პროფესიულ კარიერაზე, სწავლის მნიშვნელობაზე, შემოქმედებით პროექტებზე და სირთულეების გადალახვაზე. უპასუხა აუდიტორიის შეკითხვებს.
- 08.05.2021 - ონლაინ შეხვედრა მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის ესპანეთში მოღვაწე მეცოსოპრანო ქეთევან ქემოკლიძესთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ვოკალისტი პროფესიას, სპეციფიკას, მუსიკოსის პირად გამოცდილებას.
- 16.05.2021 - ონლაინ შეხვედრა მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის ავსტრიაში მოღვაწე სოპრანოსთან სალომე ჯიქიასთან. საუბრის თემა იყო პანდემიით შექმნილი გამოწვევები, მუსიკოსის შემოქმედებითი ბიოგრაფია.
- 22.05.21 - ონლაინ შეხვედრა მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დიმიტრი ბოქლოშვილთან, რომელმაც ისაუბრა კლარნეტზე შესრულების თავისებურებებზე, მის როლზე საორკესტრო და სოლო საკონცერტო პროგრამაში.
- 01.12.2021 - მასტერკლასები სამსახიობო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის სასცენო მოძრაობაში. მასტერკლასებს უძღვებოდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პედაგოგი, თეატრალური ხელოვნების დოქტორი შოთა გეგიაძე . მასტერკლასების ჩატარება უზრუნველყო ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა. ორგანიზატორი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, თეატრალური ხელოვნების დოქტორი თამარ ბერიძე. <https://ajaratv.ge/article/87523?fbclid=IwAR2B0scJhE3rGG119vVYKPBdGve7KDT3IRlvJR88DVacUnZVpuZYEtBONRI>
- 15. 12. 2021 ტელე-რადიო ჟურნალისტიკის, კულტურული ტურიზმის და ხელოვნების მენჯმენტის სპეციალობის სტუდენტებისათვის (ონლაინ ZOOM - პლატფორმაზე) გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)". საჯარო ლექციას წარუძღვა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის CSR ექსპერტი ელენე ჩხეიძე. განხილული იქნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, მისი როლი განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის წარმოების პროცესში, გრძელვადიანი ბიზნეს სარგებელი, რომელიც CSR-ის დანერგვას მოაქვს. პროექტი გახორციელდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ფინანსური მხარდაჭერით.

5. ხარისხის უზრუნველყოფა

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო.

სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონიის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

სამსახური არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის სტრუქტურაში



შედის რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილება.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით (დანართი 1).

6. შემოქმედებითი მუშაობა

უნივერსიტეტში განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტებისა და საზოგადოებრივი აქტივობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ:

1. 2021-თებერვალ-აპრილი ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ცნობადობისა და სტუდენტების სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით 2021 წლის პირველ კვარტალში უნივერსიტეტმა დაგეგმა და განახორციელა პროექტი „წარმატებული კურსდამთავრებულები“. პროექტის ფარგლებში ჩაიწერა სხვადასხვა პროგრამების წარმატებული კურსდამთავრებულების ვიდეო მიმართვები მათი კარიერული განვითარების საქმეში უნივერსიტეტის როლის, მიღებული ცოდნის და პროფესიული უნარების შეძენის მნიშვნელობის შესახებ. მათი ჩვენება შედგა უნივერსიტეტის სოციალური ქსელის გამოყენებით. პროექტის მიზანი იყო პანდემიის პირობებში სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და უნივერსიტეტის სარეკლამო კამპანია.
2. თებერვალ-გაზაფხულის სემესტრის დასაწყისში პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტმა განახორციელა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების საკონცერტო პროგრამის ვიდეო-ჩაწერა. ვიდეოები განთავსდა უნივერსიტეტის სოციალური ქსელში და საკმაოდ დიდი აუდიტორიაც მოიკვა.
3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის - სამუსიკო შემსრულებლობის (აკადემიური სიმღერა) პირველი კურსის სტუდენტმა სალომე მახათელაშვილმა მონაწილეობა მიიღო ზაგრების ახალგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო ონლაინ კონკურსში და "გრან-პრის" მფლობელობელი გახდა.
4. 9.06.2021 - აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, ავსტრიული კულტურის კვირეულის ფარგლებში, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ვენის კლასიკური სკოლიდან ახალი ვენის სკოლამდე“. მან ვრცლად ისაუბრა შტრაუსის, მალერისა და შუბერტის ხელოვნებაზე, მათი ნაწარმოებების სპეციფიკაზე, კლასიკოსების - ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე. ლექციის ბოლო ნაწილი კი დაეთმო მეოცე საუკუნის დასაწყისში ვენაში მოღვაწე კომპოზიტორთა შემოქმედებას. ლექციის მსვლელობისას აუდიტორიამ მოისმინა მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტებიც. შეხვედრის დასასრულს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა - მარიამ ფირცხალაიშვილმა, ასლან დიასამიძემ და მაგისტრატურის სტუდენტმა სალომე მახათელაშვილმა, შეასრულეს შტრაუსისა და მალერის ნაწარმოებები (პროფესორ თამაზ ცერიაშვილის კლასი, კონცერტმასტერი - ნინო ნიშნიანიძე).
5. 21-22.06.2021 ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის „ახალ სცენაზე“ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სამსახიობო ხელოვნების სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს სპექტაკლი "ფანტომური ტკივილები" ვ. სიგარიოვის იდეის მიხედვით. დამდგმელი რეჟისორები – ანდრო ენუქიძე, გიორგი ქათამაძე, თარგმანი – მანანა ხელაია. (მონაწილეობდნენ ირაკლი ურუშაძე, ზურაბ გორგილაძე, ანა შათირიშვილი, თამარ ბოლქვაძე, ქეთა ბარამიძე).
6. 29.06.2021- შედგა სამოსის დიზაინის I-II-III კურსის ნამუშევრების გამოფენა- დასკვნითი გამოცდა სასწავლო კურსში "სპეც. კომპოზიცია" ასოცირებული პროფესორის დიანა თალაკვაძის სახელოსნო;
7. 30.06.2021- გაიმართა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა უნივერსიტეტის ღია სივრცეში;
8. 30.06.2021-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიდ სცენაზე სამსახიობო ხელოვნების პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს სადიპლომო სპექტაკლი "სათაგური" (აგატა კრისტის მიხედვით) პროფესორ თამაზ ბოლქვაძის სახელოსნო;
9. 01.07.2021- ბხსუ-ს ატრიუმში გაიმართა დიზაინის და არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა-პერფორმანსი. გამოფენის ორგანიზატორები: პროფესორი ქეთევან ვაჩიშვილი, ასოცირებული პროფესორები-ნოდარ კვიციანი და მიხეილ კვაჭაძე;



10. 3-6.07.2021-გაიმართა დრამისა და კინოს სამსახიობო ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლის „სათაგური“ (აგათა კრისტის ნაწარმოების მიხედვით) ჩვენება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მცირე თეატრში. რეჟისორი პროფესორი თამაზ ბოლქვაძე, რეჟისორის ასისტენტი მანანა ხელაია;
11. 22.07.2021 - შედგა სამოსის დიზაინის პროგრამის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების ჩვენება;
12. 01-31.07.2021-online-ლისტის III საერთაშორისო მუსიკის დისტანციური კონკურსი (Danubia Talents) ქალაქ ბუდაპეშტში. კონკურსში მონაწილეობდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის (აკადემიური სიმღერა) სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი სალომე მახათელაშვილი, რომელმაც II საპრიზო ადგილი მოპოვა, პედაგოგი პროფ. თამაზ ცერიაშვილი;
13. 06.07.2021-თბილისის III საზაფხულო ფესტივალი „Misa Grand Prix“ „სოლო აკადემიური სიმღერის ნომინაციაში“ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის (აკადემიური სიმღერა) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა ნათია ზოიძემ I საპრიზო ადგილი მოიპოვა. კონკურსში გამარჯვების შემდეგ ნ. ზოიძე მიიწვიეს სერბეთში სოლო კონცერტის ჩასატარებლად. ამავე კონკურსის ორგანიზებით დაიდგა ახალგაზრდა კომპოზიტორ სანდრო ნებიერიძის საოპერო სპექტაკლი "ერთხელ", სადაც ნათია ზოიძე ასრულებდა დედოფლის როლს. 2021 წ. ივლისში შედგა სპექტაკლის ჩვენება თელავსა და ჩოხატაურში.
14. 15-18.07.2021 - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მიხეილ კვაჭაძემ მონაწილეობა მიიღო „მარბელას“ გამოფენაში;
15. 05.08.2021-აჭარის ხელოვნების მუზეუმში გაიმართა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის დიანა თალაკვაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა;
16. 2021 წლის აგვისტო -MEDIA EDUCATION PROGRAM (MEP)- 2021, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა მედიაგანათლების პროგრამაში-MEDIA EDUCATION PROGRAM (MEP). მედიაგანათლების პროგრამის ფარგლებში, აშშ-ში (ქალაქები - ჩიკაგო და ნორმალის ილინოისის შტატი) ორკვირიანი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ტელე-რადიო ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფ. მამუკა ჯორბენაძე. მედიაგანათლების პროგრამა MEDIA EDUCATION PROGRAM (MEP) არის ყოველწლიური საგრანტო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება (Public Affairs Section of the U.S. Embassy) ამერიკულ გრანტიორ ორგანიზაციასთან ერთად. ეს პროგრამა სრულად დაფინანსებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (US Department of State). წელს ამერიკელი პარტნიორი ორგანიზაციაა World Chicago.
17. 15.08.2021-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ დაარსდა „არტ საზოგადოება „ლიმონარიუმი“. აგვისტოს თვეში ორგანიზაციამ მოიპოვა დაფინანსება და დააარსა „ბათუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი“.
18. 17.09.2021-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში, ზაზა ხალვაშის სახელოსნოში გაიმართა აუდივიზუალური ხელოვნების(კინორეჟისურა) სპეციალობის დიპლომანტის მირიან ორაგველიძის საბაკალავრო ნამუშევრის - კინოფილმ „ალეატორიას“ ჩვენება;
19. 17.09.2021-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში, ზაზა ხალვაშის სახელოსნოში გაიმართა ტელე-რადიო ჟურნალისტიკის სპეციალობის დიპლომანტის გაბრიელა კვაჭანტირაძის საბაკალავრო ნამუშევრის „პარალელური სამყაროს“ (ვიდეორეპორტაჟი) ჩვენება;
20. 6-28.09.2021-ადრეული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი პოლონეთში ვროცლავის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით. ფესტივალზე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი წარსდგა სამკაცანი დელეგაციით. უნივერსიტეტის პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ წაიკითხა ლექცია „ქართული ტრადიციული და საეკლესიო მუსიკალური კულტურა“, ნინო დავითაშვილმა და ბაშა ბაშაღვიშვილმა (უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა) შეასრულეს ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებები.
21. 27-30.09.2021 - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა ბხსუ-სა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა „ხელოვნება საზღვრების გარეშე“. პროექტი განხორციელდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით. პროექტის საშუალებით სტუდენტებმა გაიფართოვეს შემოქმედებითი თვალსაწიერი, გაეცნენ თანატოლების საავტორო მეთოდებს, შეიმუშავეს ახალი მიდგომები და შემოქმედებითი სიახლეები, მასალების ფაქტურებისა და



დამუშავების ტექნიკები/ტექნოლოგიები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინკლუზიურ/ინტეგრირებულ შემოქმედებითობასა და შშმ პირებთან ურთიერთობების საკითხებს. პროექტში მონაწილეობდნენ ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლება-თანადგომა, ბათუმის #26 საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროექტი - საკვირაო სკოლა. პროექტის ფარგლებში შშმ პირებს ხელი შეეწყოთ ინტეგრირებული შემოქმედების პროცესში და განხორციელდა შშმ პირების ინკლუზია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში;

- 22. 8-9.10.2021-ზაქარია ფალიაშვილის 150 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო მუსიკოლოგიური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. პროექტი დააფინანსა აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ;
- 23. 4-დან 6 ნოემბრის ჩათვლით, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარდა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის მთავარი მიზანი ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პროპაგანდაა. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობენ ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ჯგუფები ავთენტური (პირველადი) შესრულების მანერით. ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. სამეცნიერო კონფერენცია ტარდება სამი დღის განმავლობაში და განიხილება ტრადიციული კულტურის აქტუალური საკითხები. ფესტივალის სტუმრებს და მონაწილეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ქართული დოკუმენტური ფილმების საშუალებით ქართულ ტრადიციულ კულტურას. ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქართველი რეჟისორების ფილმების ჩვენება. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 60-მდე მონაწილემ. საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ ანსამბლი „მუსიკელი“ (სენაკი), ტრიო „შემოქმედი“, ანდლულაძეების საოჯახო ანსამბლი (ოზურგეთი), ანსამბლი „ჭონა“ (ქუთაისი), აგრეთვე უცხოელი სტუმრები ლატვიიდან, ლიეტუვადან, დიდი ბრიტანეთიდან. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმები: „ბატონები“ (რეჟ. ანა ჯაფარიძე), „მისტერიები“ (რეჟ. დევიდ ლინქს-ფოცხიშვილი).
- 24. 23-27.11.2021 -პირველად ბათუმში ჩატარდა სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "ლიმონი". ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული და უცხოური კინოსკოლების სტუდენტთა საკონკურსო მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, ანიმაციური ფილმები. მონაწილეობდა 15 ქვეყანა. ფესტივალის საპატიო სტუმარი იყო: ქართველი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა: საერთაშორისო კონკურსი (მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, ანიმაციური) რეტროსპექტიული ჩვენება, ჟიურის წევრი კინორეჟისორების ფილმების, დიდოსტატთა კოლექციის და არასაკონკურსო ფილმების ჩვენება; ახალგაზრდა ფერმწერთა/ფოტოხელოვანთა გამოფენა. ფესტივალის მხარდამჭერები: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია.
- 25. 20-25.11.2021- ა(ა)იპ „არტ ალტერნატივა“-ს მიერ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ბაზაზე განხორციელდა საერთაშორისო პროექტი „მოგზაურობა ოპერის სამყაროში“, რომელიც დაფინანსდა ქალაქ ბათუმის მერიის თავისუფალი პროექტების კონკურსის და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფესტივალების კონკურსის გრანტის ფარგლებში. ფესტივალი გაიხსნა იმპროვიზაციებით ი.ს. ბახის „ყავის კანტატის“ მოტივებზე. ფესტივალის პროცესში გაიმართა სავიოლინო და ვოკალური მუსიკის კონცერტები კიეველი მევიოლინის გრიგორი ამბარცუმიანის და ვენეციელი ბარიტონის სტეფან პოლიმჭუკის მონაწილეობით. ვენეციის ბენედეტო მარჩელოს კონსერვატორიის პროფესორმა ჩეჩილია ფრანჩინიმ ჩაატარა მასტერკლასები. საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფინალური კონცერტი გაიმართა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტების, უკრაინელი, იტალიელი და თურქი მუსიკოსების მონაწილეობით;
- 26. 30.11.2021-ჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული „ფონდი არტ ატელიეს“ ორგანიზებით სტუდენტური თეატრალური ფესტივალი „Debut“ ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობი სპეციალობის IV კურსის სტუდენტებმა სპექტაკლით „ფანტომური ტკვილები“.



27.27.12.2021 - უნივერსიტეტის ატრიუმში ჩატარდა მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტთა საახალწლო კონცერტი.

7. კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა

საერთაშორისო ფორუმები/სამეცნიერო კონფერენციები

✓ 05.07.2021-online-შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის მუსიკისადმი მიძღვნილი 49-ე კონფერენცია, ლისაბონი (პორტუგალია). მოხსენება - “შუა საუკუნეების ქართული ღვთისმსახურების წესი და მისი გავლენა ჰიმნოგრაფიული ძეგლის შესრულების თავისებურებებზე” - წაიკითხა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ;

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია: 2021 წლის 4- 6 ნოემბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომლის მთავარი მიზანი ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის კვლევა, დაცვა და პოპულარიზაციაა. ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები პოლონეთიდან, ლატვიიდან, ლიეტუვადან, თურქეთიდან და საქართველოდან. ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ერთმანეთს გააცნეს უახლესი კვლევები მათი ქვეყნის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის სფეროში, გაცვალეს ინფორმაცია და დასახეს სამომავლო გეგმები. მოხსენებების ფოტომასალები განთავსდა ზემოთხსენებული ფესტივალის Facebook-გვერდზე. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა მოხსენებების კრებული ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური). ფესტივალისა და კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბზსუ-ს ვებგვერდზე.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ 2021 წლის 23-24 ოქტომბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარდა **V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“**. კონფერენციის მიზანი იყო კულტურისა და ხელოვნების აქტუალური საკითხების კვლევა, შემოქმედებითი პროცესებისა და ტენდენციების გაანალიზება და შეფასება. კონფერენციის პარტნიორები იყვნენ: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი თემატიკა: ფერწერა, არქიტექტურა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია, თეატრი, კინემატოგრაფი, მუსიკა, ქორეოგრაფია, კულტურა, კულტურული ტურიზმი, სახელოვნებო განათლება, მედია. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები, მეცნიერები, დოქტორანტები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს და სამეცნიერო ცენტრებს. გარდა ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, კონფერენციაში საქართველოდან მონაწილეობდნენ: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, აჭარის მუზეუმის წარმომადგენლები. უცხოეთიდან: უნგრეთის (დებრეცენის უნივერსიტეტი), ბულგარეთის (სოფიის წმინდა კლიმენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი; პლოვდივის პაისი ხილენდარელის სახელობის უნივერსიტეტი), უკრაინის (კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი; ვ.კარაზინის სახელობის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტი), ბელარუსის (ხელოვნების სახელმწიფო აკადემია; კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი), რუსეთის (რესტავრაციის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ყაზანის არქიტექტურისა და ინჟინერიის სახელმწიფო უნივერსიტეტი) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით, როგორც ფიზიკურ



სივრცეში, ისე დისტანციურად - ZOOM-ის ონლაინ პლატფორმაზე. კონფერენცია დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის - კონფერენციის ორგანიზების ფარგლებში.

საჯარო ლექცია

25.03.2021- გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის პაატა ჩაგანავას საჯარო ლექცია თემაზე „ბალნეოლოგიური ტურიზმი, როგორც პოსტ-კოვიდ მოგზაურობის მნიშვნელოვანი მიმართულება“ დისტანციურად, ზუმის ლინკით.

13.04.2021 - გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის პაატა აროშიძის საჯარო ლექცია თემაზე „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ინსტიტუციონალური რეფორმების ეკონომიკური ასპექტები“. დისტანციურად, ზუმის პლატფორმაზე.

10-11.2021 პროფ. მ. ჭიჭილეიშვილის საჯარო ლექცია აჭარის ტურიზმის სააგენტოს გიდებისათვის თემაზე: „ბათუმის ურბანული განაშენიანება“.

სტუდენტთა სამეცნიერო სემინარი

2021 წლის 23 დეკემბერს ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები.

სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, ხელოვნების მენეჯმენტისა და არქიტექტურის თემატიკაზე:

1. მარია ზარიძე - „კულტურის სფეროს პროექტების შესაძლებლობები და ეფექტური კომუნიკაცია თეატრის მაგალითზე“.
 2. მარი ხოზრევანიძე - „ბათუმის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ისტორიის საკითხისათვის“.
 3. ლია შაინიძე - „ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტული სახეები“.
 4. მარიამ ფარცხაშვილი - „ესთეტიური პარადიგმები ვან დერ როეს შემოქმედებაში და მინის არქიტექტურა“.
 5. ქეთი დოლიძე - „გამოჩენილ არქიტექტორთა საცხოვრებელი სახლები“.
- სამეცნიერო სემინარი ჩატარდა zoom-ის ონლაინ პლატფორმაზე.

კვლევით პროექტში მონაწილეობა

2019-2021 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ხორციელდება კვლევითი პროექტი „აჭარის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. აღნიშნულ პროექტში ჩართულია ბხსუ-ს ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე, რომელსაც აქვს კვლევით პროექტებში და ექსპედიციებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით.

საგამომცემლო საქმიანობა:

- ✓ გამოიცა ბხსუ-ს V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალების კრებული. კრებულში წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა თემატიკა მოიცავს კულტურისა და ხელოვნების საკითხთა ფართო სპექტრს: ფერწერა, არქიტექტურა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია, თეატრი, კინემატოგრაფი, მუსიკა, ქორეოგრაფია, კულტურა, კულტურული ტურიზმი, სახელოვნებო განათლება, მედია. კრებული გამოიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.
- ✓ ბხსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ (ხ. მანაგაძე, მ. ჭიჭილეიშვილი) გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიები უცხოეთის რეფერირებად ჟურნალებში.



თანამშრომლობა პარტნიორებთან/მემორანდუმები:

- განახლდა მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
- გაფორმდა მემორანდუმი კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნულ უნივერსიტეტთან
- გაფორმდა მემორანდუმი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან;
- მემორანდუმი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან;
- მემორანდუმი ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრთან“;
- მემორანდუმი ტურისტულ სააგენტოსთან „ვერო ტური“
- მემორანდუმი ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“
- მემორანდუმი აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან
- მემორანდუმი აჭარის არ უმაღლეს საბჭოსთან

8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

- ბხსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ბხსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა. შეუზღუდავად, თანასწორ პირობებში შეუძლიათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.
- „ზუმის“ პაკეტი დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით;
- 2021 წელს ბიბლიოთეკა ახორციელებდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფას ელექტრონული სასწავლო რესურსითა და წიგნებით. 2021 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა 3 ერთეული წიგნი, ხოლო 119 ერთეული შემოვიდა საჩუქრის სახით, გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო ახალი რიდერებით, ჟურნალ-გაზეთებითა და ლიტერატურის შემცველი CD დისკებით.
- ბხსუ-ში პლაგიატის გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ანტიპლაგიატის პროგრამა „URKUND“, რომელიც ინტეგრირებულია „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“ პლატფორმაზე. რამდენიმე წელია ამ პროგრამით მოწმდება თეორიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების საბაკალავრო, სამაგისტრო, სამეცნიერო ნაშრომები, კვლევითი პროექტები.
- ბხსუ-ში ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული პლატფორმა შექმნილია და მასში რეგისტრირებული არიან საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.
- ბხსუ ჩართულია E-flow-ს სისტემაში. 2019 წელს უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ განათლების სამინისტროს საინფორმაციო ჯგუფის სპეციალისტები ტრენინგების ჩატარების მიზნით. თუმცა, 2020 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში განვითარებულმა პანდემიურმა სიტუაციამ და თანამშრომლების გადასვლამ დისტანციურ რეჟიმზე, განაპირობა სერვისის ინტენსიური გამოყენების შეფერხება. სერვისის გამოყენების სრული სახით მუშაობა აღდგება პანდემიის დასრულებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნების შემდეგ.
- 2021 წელს კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძინა სპეციალური საშუალებები: დეზობარიერი, თერმომეტრები, სადეზინფექციო ხსნარები, სანიტაიზერები, დახურული სანაგვე ყუთები, სამუსიკო კლასებისათვის გათვალისწინებული მინის ბარიერები და სხვ. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები, სანიტარული კვანძები და სხვ. ადაპტირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ რეგულაციებთან. სამინისტროს რეგულაციების დაცვით ჩატარდა შემოქმედებითი ტურები ივნისის თვეში.